KA030185783944320

№ 01-9617 **14 / სექტემბერი / 2020 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და
სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის ჯანმრთელობის და
სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის
თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც მოგეხსენებათ, 31 აგვისტოს, სამინისტროს მხრიდან ხელი მოეწერა COVAX ფონდის მიერ მოწოდებულ სტანდარტულ წერილს ფონდში ჩართულობის თაობაზე, რომელიც ასევე ითვალისწინებდა შესყიდვის მოდელის წინასწარ არჩევას. როგორც თქვენთვის ცნობილია, შერჩეულ იქნა არჩევითი შესყიდვის მოდელი (Optional Purchase) მისი მოქნილობის გამო. ხოლო მოსახლეობის მოცვის სავარაუდო მაჩვენებად შეირჩა 20% (მოსახლეობის რაოდენობაზე გადაანგარიშებით, 1,484,400 დოზა).

8 სექტემბერს, სამინისტრომ ვაქცინების გლობალური ალიანსიდან მიიღო ორმხრივი ვალდებულებების ხელშეკრულების (Commitment Agreement) ინდივიდუალური ვერსია, რომელიც ეფუძნება 31 აგვისტოს სამინისტროს მიერ ხელმოწერილ, COVAX ფონდში ჩართულობის დადასტურების წერილში მითითებულ პირობებსა და წესებს, თუმცა აღნიშნული ვერსია, ასევე მოიცავს ინფორმაციას ქვეყნის ვალდებულებების და ვადების შესახებ.

ორმხრივი ვალდებულებების ხელშეკრულება (Commitment Agreement) წარმოადგენს საქართველოს მთავრობასა და ვაქცინების გლობალურ ალიანსს შორის შეთანხმებას და მისი ხელმოწერა და ფონდში წარდგენა 18 სექტემბრამდე უნდა განხორციელდეს.

ორმხრივი ვალდებულებების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, 9 ოქტომბრამდე, ქვეყანა წინასწარ იხდის ვაქცინის ღირებულების ე.წ. წინასწარ გადასახადს 3,10 აშშ დოლარს 1 დოზაზე, ანუ 4,601,640 აშშ დოლარს. ვაქცინის სრული ღირებულება ($10,55/დოზა) შეადგენს 16,2 აშშ დოლარს, რისკების გაზიარების გარანტიის თანხის გათვალისწინებით, რომელიც 593,760 აშშ დოლარია (0.40 აშშ დოლარი/დოზაზე).

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს, მთავრობის სახელით ორმხრივი ვალდებულებების ხელშეკრულებაზე (Commitment Agreement) ხელმოწერის მიზნით, შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების და ვაქცინის ღირებულების ე.წ. წინასწარი გადასახადის გადარიცხვისთვის საჭირო პროცედურების წარმოება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე

თამარ გაბუნია